



საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობა

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე შესვლის გადასახადის დანერგვის
სამოქმედო გეგმა



საბოლოო ვერსია
ჩაბარების თარიღი: 24.05.2024
საქართველო

ანგარიშში წარმოდგენილი ნებისმიერი აზრი, შედეგები, დასკვნები ან რეკომენდაციები ეკუთვნის ავტორებს და არ გამოხატავს კავკასიის ბუნების ფონდის, მისი თანამშრომლების და მისი დამფუძნებლების მოსაზრებას.

შინაარსი

1. წინასიტყვაობა	3
2. შესვლის გადასახადის საერთაშორისო პრაქტიკა.....	3
3. ეკოტურიზმის განვითარების ტენდენციები ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე.....	5
3.1 დაცული ტერიტორიის მდებარეობა და დახასიათება.....	5
3.2 მენეჯმენტი	6
3.3 ტურისტული ინფრასტრუქტურა, ეკოტურისტული ბილიკები.....	6
3.3.1 ლდტ-ზე არსებული ინფრასტრუქტურა	7
3.3.2 ეკოტურისტული ბილიკები.....	7
3.4 ტურისტული მოთხოვნა და სტატისტიკა.....	7
4. დაინტერესებულ მხარეების დამოკიდებულება და მოსაზრებები შესვლის გადასახადის მიმართ	10
5. შესვლის გადასახადის დაწესების რისკები, შესაძლებლობები და ძირითადი მიმართულებები	11
6. განხორციელების გეგმა.....	12
6.1 ღირებულება, გადასახადისგან გათავისუფლება და ფასდაკლებები	17
6.2 თავისუფალი ზონები	18
6.3 ფინანსური ხარჯები და სარგებელი	19
6.4 განხორციელების ვადები.....	20
7. რეკომენდაციები პილოტირების შემდგომი ეტაპისთვის:	22

დანართები

დანართი 1 შეხვედრა დაცული ტერიტორიების სააგენტოს და ადმინისტრაციების წარმომადგენლებთან	22
დანართი 2 შეხვედრა ადგილობრივი ბიზნესების და თემის წარმომადგენლებთან	26
დანართი 3 შეხვედრა ტურიზმის ადმინისტრაციის, ტურისტული ბიზნესისა და დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლებთან.....	29

1. წინასიტყვაობა

საქართველოში დაცული ტერიტორიების თვითდაფინანსების სქემა განიხილება, როგორც ეფექტური მართვის და ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობი მექანიზმი. დაცული ტერიტორიების თანამედროვე სისტემის შექმნიდან მოყოლებული მიმდინარეობს მსჯელობა და ხორციელდება ცალკეული აქტივობები დტ-ებზე შესვლის გადასახადის დაწესებასთან დაკავშირებით. სერვისის/მომსახურების გადასახადი, როგორც არის ღამის გათევის ობიექტებით, საკემპინგე ადგილებით სარგებლობა და სხვა, ორი ათწლეულია რაც დანერგილია საქართველოში. რამდენიმე ლოკაციაზე არსებობს შესვლის გადასახადიც (მაგალითად პრომეთეს და სათაფლიას მღვიმეებში, მარტვილის კანიონში და სხვ.), ხოლო ვაშლოვანის დტ-ზე გადასახადია ავტომობილით შესვლაზე.

ვიზიტორებისგან მიღებული ეკონომიკური სარგებელი ძირითადად ხმარდება ტურისტული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას, რეინჯერების გადამზადებას და ადმინისტრაციების მართვას. კონსერვაციული მიზნების მისაღწევად საჭირო აქტივობების დაფინანსების და დაცული ტერიტორიების ფინანსურ მდგრადობის მიღწევითვის არსებული შემოსავალი არ არის საკმარისი. საკონსერვაციო პროექტების უმეტესი ნაწილი კვლავ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

ფინანსური მდგრადობის და ბუნების კონსერვაციის ღონისძიებების გაძლიერების მიზნით, კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით მომზადდა ლაგოდების და მტირალას დაცულ ტერიტორიებისთვის შესვლის გადასახადის კონცეფციის დოკუმენტი. ეს არის ზოგადი ხასიათის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ასახავს საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე შესვლის გადასახადების დანერგვის ერთიან ხედვას და ზოგად მიდგომებს.

წინამდებარე დოკუმენტი, დაცულ ტერიტორიაზე შესვლის გადასახადის დანერგვის სამოქმედო გეგმა, მომზადებულია კონსულტანტების მიერ სამიზნე ადმინისტრაციის მენეჯერების და სპეციალისტების მონაწილეობით. დოკუმენტში გაანალიზებულია ადმინისტრაციის შესაძლებლობები შესვლის გადასახადის სქემის ასამოქმედებლად - გადასახადის მიღების და გადახდის ოპერირების, ასევე საზოგადოებასთან (ადგილობრივებზე აქცენტებით) საკომუნიკაციოდ. დოკუმენტში გათვალისწინებულია ლაგოდების დაცული ტერიტორიების მიმდებარე მოსახლეობის დამოკიდებულება და ინტერესი, ტურისტული სერვისების მიმწოდებლების, საკრებულოებისა და მერიის წარმომადგენლების და სხვა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები შესვლის გადასახადის დანერგვასთან დაკავშირებით. (იხილეთ შეხვედრების ოქმები).

2. შესვლის გადასახადის საერთაშორისო პრაქტიკა

შესვლის გადასახადის ფორმები, პირობები, ფასი განსხვავებულია ქვეყნების და, ბევრ შემთხვევაში, რეგიონების მიხედვით. ეს გამოწვეულია დაცული ტერიტორიების მართვის ფორმით, სტრუქტურით, არსებული რეგულაციებით, ადგილობრივი თემების და ბიზნესების ჩართულობის დონით. მაგალითად, ბოტსვანას დტ-ების საოპერაციო ხარჯების 80%-ს აფრიკის ველური ბუნებით დაინტერესებული საერთაშორისო ტურისტები ფარავენ. ფინეთის ეროვნული პარკებში არ არის დაცულ ტერიტორიაზე შესვლის გადასახადი. თუმცა, დაწესებულია გადასახადი ტურისტული სააგენტოებისთვის, რომლებიც ეწევიან კონკრეტულ ტურისტულ აქტივობებს პარკებში. სააგენტოებისთვის, Metsähallitus-ის ბუნების კონსერვაციის სამსახურსა და სააგენტოებს შორის გაფორმებულ თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე, განსაზღვრულია საქმიანობის განხორციელების პირობები (პარკში არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენების და საქმიანობის უარყოფითი გავლენის გათვალისწინებით); დაკონტრაქტებული ბიზნესების რეკლამირება ხდება ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრებში და მათ ვებსაიტებზე.

შესვლის გადასახადის ტარიფებს ნაწილობრივ განსაზღვრავს ბუნებრივ რესურსებზე მოთხოვნილება, ადგილზე სერვისების მიწოდება და ის ღირებულებები, რომელსაც ვიზიტორები ანიჭებენ ადგილზე არსებულ გამოცდილებას. შესაბამისად, ფასიანი შესასვლელისთვის შერჩეულია ისეთი ტერიტორიები სადაც არსებობს ტურისტული ინფრასტრუქტურა, სერვისები, შეთავაზებული ტურისტული ბილიკები და პირობები რეკრეაციული გამოცდილებების მისაღებად. შესვლის გადასახადს აქვს პოტენციური დამატებით შექმნას დტ-ების საოპერაციო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი იმ ადგილებში, სადაც ტურიზმის მოცულობა მაღალია და ბილიკების გასწვრივ არსებულ ინფრასტრუქტურაზეც არსებობს გარკვეული გადასახადები.

გადასახადის განსაზღვრის და ოდენობის დასადგენად რამდენიმე მეთოდის კომბინაცია გამოიყენება¹. მათ შორის შენატანის ღირებულებაზე დაყრდნობით, ბაზრის ანალიზზე დაფუძნებული, გადახდის სურვილის მიხედვით (გადახდის მზაობის დასადგენად ჩატარებული გამოკითხვები) ვიზიტორთა კატეგორიებიდან გამომდინარე (ფასების დიფერენციაციის განსაზღვრისთვის).

შესვლის გადასახადი მეტ შემთხვევაში დიფერენცირებულია საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სამუშაო ადგილების და/ან კვირის დღეების მიხედვით. განსხვავებული გადასახადი შეიძლება დაწესდეს ვიზიტორთა ჯგუფებისთვის (პარტნიორ სააგენტოებთან, სკოლებთან, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მფლობელებთან შეთანხმებით). ვიზიტორთა სპეციალური კატეგორია შესაძლოა იყოს ძალიან მოტივირებული ან გამოცდილი ადგილობრივი ვიზიტორები (მთასვლელები, ბუნების მოყვარულები, ფრინველებზე დამკვირვებლები), რომლებსაც შეუძლიათ შეღავათიანი ფასის მქონე წლიური ბილეთით ისარგებლონ. მაგალითად, სამხრეთ აფრიკის ეროვნული პარკები (SANParks) სთავაზობს წლიური ბარათის 'Wild Card'-ის წევრობას რაც ინდივიდუალურ მოგზაურს, წყვილებს, ოჯახებს სამხრეთ აფრიკის ტერიტორიაზე სთავაზობს ულიმიტო შესვლას 80-ზე მეტ ეროვნულ პარკში, ნაკრძალსა და კურორტზე. გადასახადი შესაძლოა, ასევე, სატრანსპორტო საშუალებაზე იყოს დაწესებული. Bonaire National Marine Park ვიზიტორს სთავაზობს დღიურ და წლიური შესვლის საფასურის სხვადასხვა არჩევანს (DCNA(2014); გალაპაგოსის ეროვნული პარკი ახდევინებს ერთჯერად საფასურს ვიზიტორებს (უცხოელი მოქალაქეები იხიდან 100 აშშ დოლარს, ხოლო ეკვადორის მოქალაქეები - 6 აშშ დოლარს) სამ თვემდე დარჩენის ვადით; (Epler(2007). ტურ-ოპერატორების მეშვეობით ჩამოსული ვიზიტორებისთვის მოქმედებს სპეციალური ფასდაკლება. ხორვატიის ეპ-ში შესვლის გადასახადების დიფერენცირება პარკების ლოკაციების/პოპულარობისა და გასავლელი მარშრუტების სიგრძის მიხედვით ხდება.

დაბალ შემოსავლიანი ქვეყნების ეპ-ებში საერთაშორისო ტურისტები იხდიან საშუალოდ 20 აშშ დოლარს. ეს ორჯერ აღემატება საშუალო გადასახადს საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში (ორივე 10 აშშ დოლარზე ნაკლები), და ოთხჯერ აღემატება საშუალო გადასახადს მაღალშემოსავლიან ქვეყნებში (5 აშშ დოლარი). ამგვარად, დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებს შეუძლიათ მიიღონ არსებითად მეტი შემოსავალი ერთ ადამიანზე შესასვლელი გადასახადებიდან, ვიდრე უფრო მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნები იღებენ².

ეროვნულ პარკში შესვლის გადასახადი მეტწილად ვიზიტორთა ცენტრებში და ონლაინ პლატფორმების გამოყენებით ხდება. ზოგიერთ ქვეყანაში შესვლის ბილეთები საერთო ვებ პორტალის მეშვეობით ერთი ვებსაიტიდან იყიდება (ხორვატიის ეპ-ის მაგალითი).

ეროვნული პარკების ადმინისტრაციები თანამშრომლობენ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ავტომანქანების პარკირების მოწყობასა და გამოყენებაზე, საიდანაც შემოსავალი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შედის. მუნიციპალიტეტები, ვიზიტორთა კმაყოფილების გასაზრდელად თანდათანობით ახდენენ დტ-ების სისტემასთან ჰარმონიზაციას, იწყებენ ვიზიტორთა კომპლექსურ მართვას, მათ შორის

¹ECOTONE, UNDP/GEF project -“Catalyzing Financial Sustainability of Georgia’s Protected Areas System / საქართველოში დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის გაძლიერება UNDP/GEF project (PIMS6138). October, 2021


^{2 2} https://parksjournal.com/wp-content/uploads/2019/05/PARKS-25.1-Van-Zyl-10.2305-IUCN.CH_2019.PARKS-25-1HVZ.en_-1.pdf

უზრუნველყოფენ უფასო ან იაფი საზოგადოებრივი ტრანსპორტის ოპერირებას (სლოვენის მაგალითი).

3. ეკოტურიზმის განვითარების ტენდენციები ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე

3.1 ლაგოდეხის დაცული ტერიტორიის მდებარეობა და დახასიათება

ლაგოდეხის დაცული ტერიტორია, რომელიც კახეთის რეგიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, ჩრდილოეთით ესაზღვრება რუსეთის ფედერაციას (დაღესტანთან), ხოლო აღმოსავლეთით - აზერბაიჯანს. ტერიტორიის ფართობი 24,255 ჰა-ია და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის თითქმის მესამედს შეადგენს.



ილუსტრაცია 1 ლაგოდეხის დაცული ტერიტორია. წყარო: ლდტ-ის ადმინისტრაცია

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ცენტრალური შესასვლელია ქ.ლაგოდეხი, ვაშლოვანის ქ. N197 სადაც ადმინისტრაციული შენობა და ვიზიტორთა ცენტრი მდებარეობს, ასევე სოფელი გურგენიანი (ვიზიტორთა ცენტრიდან 15 კმ) და სოფ. მაწიმი (ვიზიტორთა ცენტრიდან 7კმ).

ლდტ-ის მიმდებარე ზონაში 13 დასახლებული პუნქტია. მათ შორის არის ქ.ლაგოდეხი და სოფლები: მაწიმი, რაჭისუბანი, შრომა, კავშირი, ნინიგორი, ზემო ხიზა, გურგენიანი, ხიზაბავრა, ბაისუბანი, ზემო და ქვემო მსხალგორი და კაბალი.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები მნიშვნელოვანია ეროვნული ბიომრავალფეროვნების აღდგენის, ბუნების ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნების და ველური ბუნების დაცვის კუთხით³. კავკასიის ეკორეგიონალური კონსერვაციის გეგმაში აღნიშნულია როგორც პრიორიტეტული კონსერვაციული დერეფნის (კორიდორი) ხევი - თუშეთი - ლაგოდეხის ნაწილი. ლდტ მნიშვნელოვანია

³ საქართველოს კანონი „თუშეთის, ბაწარა-ბაბანურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ“ 2007 წელი; № 4684 - სსმ I, № 16 , 07.05.2007 წ.

ძუძუმწოვართა პოპულაციების მრავალფეროვნებით. აქ გავრცელებულია კავკასიის ენდემი აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი (*Capra cylindricornis*), კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus maral*), არჩვი (*Rupicapra rupicapra*), ევროპული შველი (*Capreolus capreolus*) და სხვ. მსხვილ მტაცებელთა ფაუნდიდან აღსანიშნავია მურა დათვი (*Ursus arctos*), რუხი მგელი (*Canis lupus*). ნაკრძალის ორნითოფაუნდიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კავკასიის ენდემური სახეობები: კავკასიური როჭო (*Tetrao mlokosiewiczi*), კავკასიური შურთხი (*Tetraogallus caucasicus*) და კავკასიური ყარანა (*Phylloscopus lorenzii*). მცენარეებიდან ლაგოდების ვიწრო ლოკალურ ენდემს წარმოადგენს (*Primula Juliae* იულიას ფურისულა; *Paeonia Mlokosevichi* მლოკოსევიჩის იორდასალამი, *Symnospermium smirnowii* მრგვალი წამალი, *Galanthus lagodekhanus* ლაგოდების თეთრყვავილა.

3.2 მენეჯმენტი

ლაგოდების დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის გრძელვადიანი (20-25 წლიანი) მიზნებია:

- ლანდშაფტების, ჰაბიტატებისა და სახეობების კონსერვაცია
- სახეობების, ჰაბიტატებისა და ეკოსისტემის სერვისების მდგრადი გამოყენება
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ადგილობრივი ეკონომიკისა და მოსახლეობის სასარგებლოდ
- ეკოტურიზმის განვითარება
- ეკოგანათლება და გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ ცოდნის ამაღლება
- სამეცნიერო კვლევა ეკოსისტემის პროცესების შესახებ ცოდნის გაზრდის კუთხით
- კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და ინტეგრაცია
- ტრანსსასაზღვრო კონსერვაციის ხელშეწყობა
- დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის გაძლიერება

ვიზიტორების მომსახურებით დაკავებულია ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ვიზიტორთა მომსახურების უფროსი სპეციალისტი და ბუღალტერი. ტურისტული ინფრასტრუქტურის მოვლა, განახლება და სამაშველო საქმიანობა რეინჯერებს ევალებთ. ტურისტულ სეზონზე ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ გიდებთან, გამყოლებთან და ცხენების გამძირავებლებთან. ვიზიტორებს მოთხოვნის საფუძველზე აწვდის მათ საკონტაქტო ინფორმაციას.

ეკოგანათლების მხრივ ადმინისტრაცია თანამშრომლობს ადგილობრივ სკოლებთან, მასპინძლობს სტუდენტურ ჯგუფებს. ტერიტორიაზე არსებობს ბუნების შემეცნებითი ბილიკი დაწყებითი სკოლის ასაკის ბავშვებისთვის⁴.

ლაგოდების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული შენობა ვიზიტორთათვის ღიაა მთელი წლის მანძილზე. დაცული ტერიტორიების დანარჩენ ორ შესასვლელთან (სოფელი გურგენიანი და სოფელი მაწიმი) განლაგებულია რეინჯერთა სადგურები, სადაც ასევე ხდება ტურისტების რეგისტრაცია, ინფორმაციის მიღება ბილიკის და ზოგადად ლაგოდების დაცული ტერიტორიების შესახებ, ტურისტული აღჭურვილობის გაქირავება და ანგარიშსწორება.

3.3 ტურისტული ინფრასტრუქტურა, ეკოტურისტული ბილიკები

მთიანი და ტყიანი ლანდშაფტები მრავალრიცხოვანი ჩანჩქერებით, მდიდარი ბიომრავალფეროვნებით, ისტორიული თუ კულტურული მემკვიდრეობით საინტერესოა რეკრეაციული და ეკოტურისტული თვალსაზრისით. ლდტ ვიზიტორებს სთავაზობს სალაშქრო, საცხენოსნო, ეკო-საგანმანათლებლო, ყვავილებზე და ცხოველებზე დაკვირვების ტურებს („ირმის მყვირალობის ტური“), სამეცნიერო და

⁴ ბილიკი დააფინანსა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ და მისი სიგრძე დაახლოებით 600 მეტრია. იგი ადმინისტრაციის შენობის მთავარ შესასვლელთან მდებარეობს.

კვლევით სამუშაოებს. უნივერსიტეტებისთვის და სკოლებისთვის ტარდება ეკოლოგიური ბანაკები, ექსკურსიები, სემინარები და სხვა; ლდტ-ზე არის საპიკნიკე მაგიდების, საკარვე ადგილების, ღამის ტურისტული თავშესაფრების გაქირავების სერვისები.

3.3.1 ლდტ-ზე არსებული ინფრასტრუქტურა


- ადმინისტრაციული შენობა და ვიზიტორტა ცენტრი - ქ. ლაგოდეხი ვაშლოვანის ქ. N 197
- მაწიმის რეინჯერთა სადგური - სოფ. მაწიმი
- გურგენიანის რეინჯერთა სადგური - სოფ. გურგენიანი
- ტურისტული თავშესაფრი: „მეტეო“, „ქოჩალო“ და „დემიდოვის ბინა“
- თავლა - სოფ. მაწიმი
- 9 საბანაკე და საკემპინგე ადგილი: გურგენიანი, ადმინისტრაციის მიმდებარედ 2, მაწიმი, ტურისტული თავშესაფრების „მეტეოს“, „ქოჩალოს“, „დემიდოვის ბინა“-ის მიმდებარედ, მარტოტის ტბის და თელიანის მიმდებარედ.

3.3.2 ეკოტურისტული ბილიკები

დღეის მდგომარეობით ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე სხვადასხვა სირთულის 10 ეკოტურისტული ბილიკია მოწყობილი:

Illustration 2 ეკოტურისტული ბილიკები ლდტ-ებზე. წყარო: გ.სულამანიძის პრეზენტაცი

- ბილიკი: 1 „როჭოს ჩანჩქერი“ - 9.6 კმ;
- ბილიკი: 2 „ნინოსხევის ჩანჩქერი“ - 12 კმ;
- ბილიკი: 3 „მაჭის ციხე“ - 9.2
- ბილიკი: 4 „შავი კლდეების ტბა“ - 41 კმ;
- ბილიკი: 5 „ბუნების შემეცნებითი ბილიკი“ - 1 კმ;
- ბილიკი: 6 „ლუდეგ მლოკოსევიჩის ბილიკი“ - 9 კმ;
- ბილიკი: 7 „ტყის კატის ბილიკი“ - 15 კმ;
- ბილიკი: 8 „მარტოტის ტბა“ - 36 კმ;
- ბილიკი: 9 „ძველი ნასახლარები“ - 7 კმ;
- ბილიკი: 10 „ლაგოდეხის მონასტერი“ - 0.6 კმ.



3.4 ტურისტული მოთხოვნა და სტატისტიკა

ბუნების და სათავგადასავლო ტურების მოყვარულთათვის ლდტ ერთ-ერთი პოპულარული სამოგზაურო არეალია. ყველაზე პოპულარული არეალია ნინოსხევის (გურგენიანის) ჩანჩქერი. ადმინისტრაციის მონაცემებით, აქ ტურისტულ სეზონზე ლდტ-ის ვიზიტორების 50 %-ია. ტურისტების

რაოდენობის მიხედვით შემდეგ ადგილზეა როჭოს ჩანჩქერი და მაჭის /მაჭის ციხის ბილიკი. გასათვალისწინებელია ადგილობრივი დამსვენებლები/რეკრეანტები, ვინც ტურისტულ სეზონზე (ივლისი, აგვისტო) მთელ დღეს დაცულ ტერიტორიაზე ატარებს, თუმცა არ რეგისტრირდება როგორც ვიზიტორი. ასეთი რეკრეანტების რაოდენობა ბევრად აღემატება სეზონზე ტურისტების რიცხვს.

2023 წლის მონაცემებით, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები 11764 ვიზიტორმა მოინახულა: აქედან 9752 იყო - საქართველოს მოქალაქე, 2012 - უცხოელი. 2022 წლის მონაცემებთან შედარებით ვიზიტორების საერთო რაოდენობა 2023 წელს 10%-ით გაიზარდა, უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 20%-ით, ხოლო ქართველი ვიზიტორების 8%-ით გაიზარდა. იზრდება ასევე დაცულ ტერიტორიაზე ღამის გათევის, ცხენით მომსახურებისა და საპიკნიკე მაგიდებით მოსარგებლეთა რიცხვი.




Illustration 4 ლაგოდეხის დტ-ზე ვიზიტორთა და შემოსავლების რაოდენობა წლების მიხედვით. წყარო: გ.სულამანიძის პრეზენტაცია

ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 2022-2023 წწ.




Illustration 4 ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ტურისტული შემოსავლები სერვისების მიხედვით. წყარო: გ.სულამანიძის პრეზენტაცია


Table 1 ვიზიტორთა რაოდენობა თვეების მიხედვით. წყარო: ლდტ-ების ადმინისტრაცია

თვე	ვიზიტორი		მთლიანი რაოდენობა
	საქ-ს მოქალაქე	უცხოელი	
იანვარი	0	0	0
თებერვალი	0	0	0
მარტი	268	54	322
აპრილი	617	196	813
მაისი	1110	249	1359
ივნისი	1387	317	1704
ივლისი	1469	302	1771
აგვისტო	2096	379	2475
სექტემბერი	1432	311	1743
ოქტომბერი	1260	186	1446
ნოემბერი	113	18	131
დეკემბერი	0	0	0
სულ	9752	2012	11764

Table 2 ვიზიტორთა რაოდენობა 2021-2023 წლებში. წყარო: ლდტ-ების ადმინისტრაცია

თვე	ვიზიტორი						მთლიანი რაოდენობა		
	საქ-ს მოქალაქე			უცხოელი					
	2021 წ.	2022 წ.	2023 წ.	2021 წ.	2022 წ.	2023 წ.	2021 წ.	2022 წ.	2023 წ.
იანვარი	0	0	0	0	0	0	0	0	0
თებერვალი	0	0	0	0	0	0	0	0	0
მარტი	73	135	268	27	28	54	100	163	322
აპრილი	230	472	617	91	116	196	321	588	813
მაისი	357	528	1110	134	182	249	491	710	1359
ივნისი	624	804	1387	169	203	317	793	1007	1704
ივლისი	411	1482	1469	123	301	302	534	1783	1771
აგვისტო	965	1591	2096	231	323	379	1196	1914	2475
სექტემბერი	1931	1967	1432	367	301	311	2298	2268	1743
ოქტომბერი	973	1341	1260	138	169	186	1111	1510	1446
ნოემბერი	781	693	113	30	42	18	811	735	131
დეკემბერი	0	0	0	0	0	0	0	0	0
სულ	6345	9013	9752	1310	1665	2012	7655	10678	11764

გენდერული მონაცემები 2023 წ.



რომელიც, სამომავლოდ, სეზონის და ჯგუფში მონაწილეების რაოდენობის მიხედვითაც შეიძლება დიფერენცირდეს.

5. შესვლის გადასახადის დაწესების რისკები, შესაძლებლობები და ძირითადი მიმართულებები

კარგად მართული ტურიზმის შემთხვევაში შესვლის გადასახადს აქვს რიგი სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური სარგებელი. თუმცა გამოწვევად რჩება რიგი საკითხები, რაც შემოსავლების დაწესების და პილოტირების პროექტის განხორციელებისას არის გასათვალისწინებელი:


გამოწვევები:

- მოითხოვს აქტიურ კომუნიკაციას ადგილობრივ თემთან და ბიზნესებთან, რომ შემოსავლები ძირითადად მოხმარდება მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტერიტორიების და ბუნების დაცვას, რაც ადგილობრივი მოსახლეობის სარგებლის მისაღებაზე დადებითად იმოქმედებს რათა თავიდან ავიცილოთ საზოგადოების დაბალი მიმდებლობა შესვლის გადასახადების დანერგვის მიმართ;
- არასაკმარისი პერსონალის შემთხვევაში, როდესაც მეტი აქცენტი კეთდება შემოსავლების გაზრდაზე, შესაძლოა დაზარალდეს ეფექტური მართვისთვის საჭირო სხვა აქტივობები;
- ცენტრალური მართვის პირობებში, როდესაც შემოსავლები დაცული ტერიტორიების სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე ირიცხება, შემოსავლები შეიძლება იყოს დაუცველი პოლიტიკის ცვლილებების მიმართ;
- გადასახადების მოკრებასთან დაკავშირებით გაჩნდება გარკვეული გამოწვევები იქ სადაც ამისთვის არასაკმარისი ინფრასტრუქტურაა. სასურველია, თავიდან ავიცილოთ ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდის ფორმა და გამოვიყენოთ თანამედროვე, კონტროლირებადი ტექნოლოგიები;
- საფასურის მოკრება გარკვეულ ინვესტიციებს და რესურსებს მოითხოვს და თავდაპირველად ან პირველ წლებში შესაძლოა აღემატებოდეს დტ-ზე არსებულ ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად და მექანიზმების დასანერგად;
- ტურისტული მოთხოვნის ცვალებადობა და სეზონურობა იწვევს არაპროგნოზირებად შემოსავალს;
- მიზნობრივმა შემოსავალმა შესაძლოა წახალისოს მეტი ვიზიტორის დაშვება დტ-ზე, რაც გაზრდის ტურიზმის ნეგატიურ ზემოქმედებას და საფრთხეს შეუქმნის კონსერვაციული მიზნების შესრულებას;
- მოსაკრებლებმა შესაძლოა შეამციროს ადგილზე ტურისტული დანახარჯები და გამოიწვიოს ტურიზმის ბიზნესების წარმომადგენელთა უკმაყოფილება. ამისათვის უნდა დაინერგოს მათთან გამოკითხვის და შემოსავლების დანერგვის კვლევის პრაქტიკა მათი წინააღმდეგობის შესამცირებლად.

მნიშვნელოვანია ეროვნული პარკის მიმდინარე სოფლების მოსახლეობის და მათთან სწორი კომუნიკაციის საკითხი. სასურველია პარკის ტერიტორიაზე მათი უფასოდ დაშვება და პერმანენტული კომუნიკაცია თუ რა სახის კონსერვაციული აქტივობები ხორციელდება ტერიტორიაზე და რა რაოდენობის ვიზიტორი ეწვია ეროვნულ პარკს.

მტირალას ეროვნული პარკისგან განსხვავებით, ლაგოდეხის დტ-ზე გამოიკვეთა თავისუფალი ზონების დანერგვის საჭიროება. კერძოდ, შეირჩა რამდენიმე ლოკაცია, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის და მათთან მოსული სტუმრების (ნათესავები, მეგობრები) მიერ ხშირად გამოიყენება რეკრეაციული მიზნებით.

ეროვნულ პარკში შესვლის გადასახადის დანერგვის პროცესში გამოიკვეთა ოთხი ძირითადი მიმართულება:



6. განხორციელების გეგმა

შესვლის გადასახადის სისტემის ეფექტურობა გარკვეულ ინვესტიციებს მოითხოვს. ტარიფის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ადგილზე არსებული მდგომარეობა და შემოსავლების მიღების მექანიზმების, განხორციელებისა და მონიტორინგის საჭიროებები. ინვესტიციები საჭიროა ადმინისტრაციის პერსონალის ტრენინგების, თემთან კომუნიკაციის განსახორციელებელი ხარჯების და არსებული ბილიკების მარკეტინგული საქმიანობების დასაფარად. ასევე ტექნიკური პერსონალისთვის ვინც ინფრასტრუქტურის დანერგვაზე, მოვლა-შენახვასა და ბილეთების გაყიდვის პუნქტში ბილეთების გაყიდვაზე პასუხისმგებელი.

მტირალას ეროვნული პარკისგან განსხვავებით, ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე არსებობს ეკოტურისტული საინტერპრეტაციო ბილიკები. ადმინისტრაცია თანამშრომლობს სასწავლო ინსტიტუტებთან. სრულდება ახალი სალაშქრო ეკობილიკების და ადმინისტრაციის საგამოფენო დარბაზის მოწყობა. ამ ეტაპზე, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას ყველაზე მეტად ესაჭიროება ეკობილიკებზე საფრთხის რისკების შემცირების თვალსაზრისით გარკვეული ინვენტარის შექმნა და მარკეტინგული ღონისძიებების გატარება, მათ შორის ღონისძიების ორგანიზება ახალი ბილიკების და შეთავაზებების გაშუქების მიზნით.

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე შესვლის/ბუნების კონსერვაციის გადასახადის პილოტირება

აქტივობა 1.	
დასახელება	გადახდის ადგილებზე საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა
ინდიკატორი	გადახდის პუნქტები და საინფორმაციო დაფები
ბიუჯეტი	20.000 ლარი (სავარაუდო ბიუჯეტი, რადგან სალარო აპარატებით და ბარათის წამკითხველი ვალიდატორების გამოყენებისას, ასევე ადგილზე მცირე კონსტრუქციის მოწყობისას ანგარიშსწორება დგება სააგენტოს და პარტნიორ მხარეს შორის). ინფრასტრუქტურის მოწყობის დაფინანსება შესაძლოა მოხდეს სააგენტოს საინვესტიციო ბიუჯეტის ნაწილიდან ან დონორის CNF -ის მიერ. საინფორმაციო დაფები სასურველია დამზადდეს სალაშქრო ბილიკების რეგლამენტის შესაბამისად, მაგალითად ხის კონსტრუქციის დაფა (1 ცალი დაახლოებით 4000 ლარი ჯდება, სულ საჭირო იქნება 4 დაფა.

	ინფრასტრუქტურის მოწყობის დაფინანსება შესაძლოა მოხდეს სააგენტოს საინვესტიციო ბიუჯეტის ნაწილიდან ან დონორის CNF -ის მიერ.
ჩართული პარტნიორები	ამ ოპერაციის აუტოსორსინგზე გატანისას შერჩეული/კონტრაქტორი კომპანიაა. აქამდე გამოცდილება არსებობს www.guru.ge -სთან. თუმცა განიხილება სხვა ალტერნატიული კომპანიაც. მათ შორის საქართველოს ბანკი, MS+ ⁵ www.msplus.ge ადმინისტრაციის პროგრამისტი nationa.parks.ge და მობილური აპლიკაცია parks.ge -ზე ახალი ზმულების დასამატებლად, CNF სარეკლამო კომპანია საინფორმაციო დაფების დიზაინის და ინფრასტრუქტურის დასამზადებლად
განხორციელების ვადა	1-2 თვე
აღწერა	<p>გადახდა ხდება ონლაინ, სააგენტოს ვებ გვერდიდან. და ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არსებული გადახდის აპარატების გამოყენებით. მაგალითად, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებგვერდიდან https://nationalparks.ge/ka/master/services მომხმარებელი ირჩევს ფასიანი სერვისების ოფციას, რომელსაც გადაყავს გადახდის პლატფორმაზე. გადასახადების მოკრებასთან დაკავშირებით გაჩნდება გარკვეული გამოწვევები იქ სადაც ამისთვის არასაკმარისი ინფრასტრუქტურაა. სასურველია, თავიდან ავიცილოთ ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდის ფორმა და გამოვიყენოთ თანამედროვე, კონტროლირებადი ტექნოლოგიები - გადახდა ინტერნეტ პლატფორმებით, ფიზიკურად, პოსტერმინალების საშუალებით, ადგილზე მობილური ტელეფონით, შესასვლელში გადახდის აპარატების მოწყობით, რომელსაც სააგენტო და მეპ-ის ადმინისტრაცია შესაბამის ბანკთან შეთანხმებით დანერგავს.</p> <p>შესვლის გადასახადის გადახდა ტერმინალით შესაძლებელია ადმინისტრაციაში. სხვა შესასვლელებში შესაძლებელია გადახდა მოხდეს ვერტიკალურ დაფებზე განთავსებული QR კოდის მეშვეობით (სავარაუდო ლოკაციებია: მაწიმის და გურგენიანის რეინჯერთა სადგურები და კაბალჰესი).</p> <p>კონტრაქტორ კომპანიასთან თანამშრომლობის უპირატესობაა პროფესიონალური პროგრამების მეშვეობით ყველა გაყიდვის არხის ერთი ბილეთის სივრცეში მოქცევის საშუალება და დაშვების სისტემის კონტროლის მოწესრიგება როგორც დამკვეთისთვის ასევე ვიზიტორისთვის. თუმცა, ლაგოდების შემთხვევაში, სადაც ფასიანი ვიზიტორი და ტურისტული შემოსავლები არ არის მაღალი, კონტრაქტორი კომპანიის დაინტერესება რისკის ქვეშ დგება და შესაძლოა ალტერნატიული გზის - საკუთარი რესურსებით მოსაკრებლის მიღების განხილვა.</p> <p>ილუსტაციაზე მოცემულია თვითმომსახურების ტერმინალების ნიმუშები</p>
მართვაზე და მოვლაზე პასუხისმგებელი პირი	დტ-ის ადმინისტრაცია



⁵ თბილისის მერიის მიერ საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის სისტემის მოდერნიზაცია გააკეთა სს „საქართველოს ბანკმა“. მუნიციპალური ტრანსპორტი აღიჭურვა ახალი საღარო აპარატებით და ბარათის წამკითხველი ვალიდატორებით, შეიქმნა სპეციალური მობილური აპლიკაციები ბილეთების შეძენის ფუნქციით, ასევე მგზავრობის დაგეგმვის ფუნქციით. ტენდერის პირობების შესრულებაზე და შემდგომ ოპერირებაზე პასუხისმგებელია „მეტრო სერვის +“ როგორც ბანკის ქვეკონტრაქტორი კომპანია.

განხორციელებისთვის საჭირო ქმედებები	<ul style="list-style-type: none"> • საკუთარი რესურსების მობილიზება ახალი თანამშრომლების აყვანით ან კონტრაქტორი კომპანიის შერჩევით • თვითმომსახურების გადახდის აპარატის მონტაჟი ერთ ლოკაციაზე (ადმინისტრაციის შენობაში); • საინფორმაციო დაფების მონტაჟი, QR კოდით სადაც ვიზიტორი ირჩევს გადახდის ლინკს (3 დაფა) National.park.ge -ზე ან მობილურ აპლიკაციას parks.ge ზე; • არსებული ინტერნეტ აპლიკაციებში (Parks.ge და National.park.ge) შესვლის გადასახადის გადახდის ფუნქციის ლილაკის დამატება.
-------------------------------------	---

აქტივობა 2.	
დასახელება	არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა - შენახვა⁶
ინდიკატორი	<i>გამართული ინფრასტრუქტურა, კმაყოფილი ვიზიტორი</i>
ბიუჯეტი	<i>20 000 ლარი თანხის გამოყენება შესაძლოა სააგენტოს ბიუჯეტიდან</i>
ჩართული პარტნიორები	<i>პერსონალის დაქირავება ბილიკების გასაწმენდად ან ინფრასტრუქტურის შესაკეთებლად</i>
განხორციელების ვადა	<i>უწყვეტი პროცესი</i>
აღწერა	10 ბილიკის მომზადება, თავშესაფრების და საპიკნიკე მაგიდების შემოწმება ბილიკი: 1 „როჭოს ჩანჩქერი“ - 9.6 კმ; ბილიკი: 2 „ნინოსხევის ჩანჩქერი“ - 12 კმ; ბილიკი: 3 „მაჭის ციხე“ - 9.2 ბილიკი: 4 „შავი კლდეების ტბა“ - 41 კმ; ბილიკი: 5 „ბუნების შემეცნებითი ბილიკი“ - 1 კმ; ბილიკი: 6 „ლუდვიგ მლოკოსევიჩის ბილიკი“ - 9 კმ; ბილიკი: 7 „ტყის კატის ბილიკი“ - 15 კმ; ბილიკი: 8 „მარტოტის ტბა“ - 36 კმ; ბილიკი: 9 „ძველი ნასახლარები“ - 7 კმ; ბილიკი: 10 „ლაგოდების მონასტერი“ - 0.6 კმ.
მართვაზე და მოვლაზე პასუხისმგებელი პირი	<i>ეკ-ის ადმინისტრაცია</i>
განხორციელებისთვის საჭირო ქმედებები	<ul style="list-style-type: none"> • ბილიკების და ინფრასტრუქტურის მდგომარეობის მოკვლევა და სამუშაოების დაგეგმვა • 2024 წლის მაისში და ივლისში ბალახისგან და ტოტებისაგან გაწმენდა • ბილიკების და საკემპინგე ადგილების საჭიროებისამებრ მოვლა და დასუფთავება • ტურისტული თავშესაფრის მოვლა-შეკეთება • თვეში ერთხელ შემოწმების ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში შეკეთება

აქტივობა 3.	
დასახელება	PR და კომუნიკაცია ადგილობრივ თემთან და ფართო საზოგადოებასთან გარემოსდაცვითი მოთხოვნების და ეკოსისტემების მიმართ მოსახლეობის პოზიტიური დამოკიდებულებების გაძლიერება
ინდიკატორი	<i>ნაბეჭდი მასალა (ბილიკების რუკა); გარემოსდაცვითი აქტივობების კალენდარი და მასმედით გაშუქებული ღონისძიებები, გადამზადებული თანამშრომლების რ-ბა განახლებული საგამოფენო სივრცე და 10 ახალი ბილიკის რეკლამა, სადაც კონსერვაციაზე და ველური ბუნების შემეცნებაზე გაკეთდება აქცენტი</i>
ბიუჯეტი	<i>280 000 ლარი (სავარაუდო ბიუჯეტი) ამ თანხაში შესულია საგამოფენო დარბაზის მოწყობის სავარაუდო თანხაც (200 000 ლარი), რომელიც უკვე ხორციელდება CNF-ის მხარდაჭერით</i>
ჩართული პარტნიორები	<i>ლდტ-ის მეგობართა ასოციაცია, ეკო-კლუბები, ლაგი</i>

⁶ ეს აქტივობა არ ახდენს გავლენას შესვლის გადასახადის დაწესებაზე.

განხორციელების ვადა	3.5 თვე
აღწერა	<p>შესვლის გადასახადის დანერგვა მოითხოვს აქტიურ კომუნიკაციას ადგილობრივ თემთან და ბიზნესებთან, რომ შემოსავლები მოხმარდება მაღალი კონსერვაციული ღირებულების არელების და ზოგადად ეკ-ის ბუნების დაცვას, ადგილობრივი მოსახლეობის სარგებლის მიღებას და ბუნებრივი ფასეულობების ინფორმაცია უნდა გავრცელდეს სეზონის დაწყებამდე, მათ შორის ადგილობრივ პრესასა და ტელევიზიაში.</p> <p>კომუნიკაცია უნდა იყოს მომხმარებლებთანაც, რათა ვიზიტორები აცნობიერებდნენ, რომ მათი გადახდილი გადასახადი ხელს შეუწყობს დტ-ის კონსერვაციული მიზნების მიღწევას. გზავნილები შესაძლოა პერიოდულად შეიცვალოს სხვადასხვა თემატიკის გაქდერებით.</p> <p>ასევე, ლდტ-ის 10 ბილიკს და საგამოფენო დარბაზს ჭირდება რეკლამა და პრეფესიონალი პერსონალის ჩართულობა.</p> <p>საჭიროა ბუნების საკონსერვაციო აქტივობების განხორციელება და გამჭირვალე პროცესის დანერგვა - თემთან თანამშრომლობა, პრევენტაცია, თემის წარმომადგენლების და ვიზიტორების ჩართვა ეკოსაგანმანათლებლო აქტივობებში.</p> <p>ამ კუთხით, ყველაზე თვალსაჩინოა ღონისძიების ორგანიზება. მშაგალითად, ეროვნული პარკების კვირეული შოუს ელემენტებით, ბილიკების პრევენტაციით ან შავი კლდეების ტბის 41 კმ ბილიკზე მარათონი - მოლაშქრეთა ფესტივალი. ადმინისტრაცია განიხილავს ასევე საცხენოსნო ენდურო მარათონს.</p>
განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი	ეკ-ის ადმინისტრაცია
განხორციელებისთვის საჭირო ქმედებები	<ul style="list-style-type: none"> • კომუნიკაციის გეგმის მომზადება • დაცული ტერიტორიების სააგენტოს PR სამსახურიდან თანამშრომლის შერჩევა და საპილოტე ტერიტორიაზე პასუხისმგებლობის განსაზღვრა • ლდტ-ის ადმინისტრაციის თანამშრომლების გადამზადება ეფექტური კომუნიკაციის ტექნიკებში • სტატიებისა და პუბლიკაციების მომზადება სააგენტოს PR სამსახურის მიერ • ღონისძიებების ან ფესტივალის იდეების კონკურსი • საგრანტო ტენდერის დოკუმენტის მომზადება • ბილიკების რუკის მომზადება და Park.ge-ზე ახალი ბილიკების შესახებ ინფორმაციის განთავსება. • აქტივობების გაშუქება, სატელევიზიო სიუჟეტების მომზადება • მოკლე გზავნილები სტატიების მეშვეობით სადაც გაქდერდება მკაფიო ხედვა, თუ რატომ ვიხდით ბუნების კონსერვაციის გადასახადს და/ან რა სახის კონტრიბუციას წარმოადგენს ადგილზე;

აქტივობა 4.	
დასახელება	შეთავაზებული სერვისების გაუმჯობესება და საჭირო ინვენტარის შექმნა
ინდიკატორი	<i>შექნილი ინვენტარი, გადამზადებული რეინჯერი</i>
ბიუჯეტი	<i>70 000 ლარი (სავარაუდო ბიუჯეტი)</i>
ჩართული პარტნიორები	სარეკლამო ბიზნესი, ხელსაქმის ოსტატები და სხვა ბიზნესები, ტრეინგების ორგანიზატორი ორგანიზაციები
განხორციელების ვადა	<i>პილოტირების პერიოდი</i>
აღწერა	<p>შესვლის გადასახადის დანერგვისას ტურისტებს ექმნებათ წარმოდგენა, რომ დაცულ ტერიტორიაზე გაიზრდება და გაუმჯობესდება შეთავაზებული სერვისების ხარისხი. დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის პროცესში გამოიკვეთა ცხენის აღჭურვილობის, ხურჯინების, რამოდენიმე კარვის შექმნის საჭიროება ახალი ეკობილიკებისთვის. ასევე, რეინჯერების გადამზადების ტრენინგის საჭიროება.</p> <p>გარდა ამისა, ადმინისტრაციაში ან რეინჯერების სადგურებში სასურველია იყიდებოდეს ბრენდირებული სალაშქრო პროდუქცია. მაგ.თერმოქიქა, თერმოსი, მაისური, კეპი და ა.შ. რომელსაც ბილიკებზე წამსვლელი ან იქიდან ჩამოსვლელი ტურისტი სამახსოვროდ/საჩუქრად შეიძენს.</p>

მართვაზე და კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირი	ეპ-ის ადმინისტრაცია
განხორციელებისთვის საჭირო ქმედებები	<ul style="list-style-type: none"> • საცხენოსნო - ხურჯინები და უნაგირების შექმნა • მხედრის უსაფრთხოებისათვის: ქუდის, ყილეტის და გამაშების შესყიდვა, ახალი კარვის და საძილეების დამატება • ტრენინგისთვის ტენდერის გამოცხადება და კანდიდატების შერჩევა • ტრენინგი რეინჯერებისათვის - სამაშველო საქმე და პირველადი გადაუდებელი დახმარება • სამაშველო აღჭურვილობის (პორტატული საკაცე, სამაშველო თოკი, ქამარი, ხერხი აკუმულატორზე, პირველადი დახმარების კომპლექტი, წნევის აპარატი, ელექტროფიზიოლოგიური, ფანარი და სხვ.) შექმნა • ბრენდირებული პროდუქციის მომზადება: ჭიქა, თერმოჭიქა, მაისური, ჰუდი, კეპი, ხელჩანთა, ნარჩენების პარკები რომლებიც გაიყიდება ადმინისტრაციაში და ორგანიზებულ ღონისძიებაზე • საინფორმაციო ორგვერდიანი ბუკლეტის და ბილიკების რუკის დამზადება, 2025 წლის სამაგიდო კალენდრის დამზადება

აქტივობა 5.	
დასახელება	შესვლის მოსაკრებლის დანერგვა და ადმინისტრირება
ინდიკატორი	<i>არსებული ინფრასტრუქტურა, ადმინისტრაციის ტურისტული შემოსავლების სტატისტიკა და თემის ტურისტული შემოსავლების სტატისტიკა</i>
ბიუჯეტი	<i>20 000 ლარი (სავარაუდო ბიუჯეტი)</i>
ჩართული პარტნიორები	ადგილობრივი თემი, ბიზნესი, მუნიციპალიტეტები და ტურისტული სააგენტოები
განხორციელების ვადა	<i>პილოტირების პერიოდი</i>
აღწერა	<p>ვიზიტორებთან და თემთან კომუნიკაციისას მეპ-ის ესაჭიროება სააგენტოს PR სპეციალისტის მიზნობრივი დახმარება.</p> <p>თუ შესვლის მოსაკრებლების საკითხი აუთსორსინგზე ვერ გავიდა (ნაკლებ მომგებიანი ბიზნესის გამო) მოსაკრებლების შეგროვება და ადმინისტრირება უნდა მოხდეს ადგილზე არსებული რესურსების გამოყენებით. ამისათვის, სააგენტოს დაჭირდება ორი პერსონალის აყვანა გადახდის ტერმინალთან.</p> <p>წარმატებული პილოტირების შემთხვევაში შესვლის მოსაკრებლის საკითხი უნდა აისახოს შესაბამის საკანონმდებლო მარეგულირებელ დოკუმენტებში.</p> <p>ვიზიტორთა კონტროლი ბილიკებზე შესაძლოა რეინჯერების მიერ მოხდეს ბილეთის მოთხოვნით და/ან SMART-ში ინტეგრირებული QR კოდის წამკითხველი პროგრამით.</p>
მართვაზე და კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირი	ეპ-ის ადმინისტრაცია
განხორციელებისთვის საჭირო ქმედებები	<ul style="list-style-type: none"> • რეინჯერების SMART პროგრამებით აღჭურვა გადახდის წამკითხველით (ავტობუსის კონტროლიორის მსგავსად). • პილოტირებისას კითხვარების საფუძველზე გამოკითხვის ჩატარება ვიზიტორებთან • პილოტირების ფაზის დასრულებისას გამოკითხვის ჩატარება ადგილობრივ თემთან • ვიზიტორთა სტატისტიკა და პილოტური ფაზის მიღწევების პრეზენტაცია • ტარიფების გადახედვა და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა • აუთსორსინგზე შესვლის გადასახადის ოპერირებისთვის შეთანხმება ან სულ მცირე ორი დამხმარე პერსონალის აყვანა გადახდის ტერმინალთან.

6.1 ღირებულება, გადასახადისგან გათავისუფლება და ფასდაკლებები

შესვლის გადასახადის დიფერენციაციისთვის და ტარიფის დასადგენად გათვალისწინებულია მომხმარებელთა მოსაზრება და მზაობა გადაიხადოს ბუნების კონსერვაციის მოსაკრებელი და სხვა დტ-ებზე დადგენილი ფასები.

პოტენციური (სავარაუდო) შემოსავლებისა და აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების მიხედვით, ლდტ-ზე შესვლის გადასახადი უნდა იყოს გაცილებით მეტი ვიდრე 5 და 10 ლარია. თუმცა, ადგილობრივი ბიზნესების დაბალი მიმდებლობის რისკის ფონზე რეკომენდებულია თავდაპირველად დაწესდეს დაბალი საფასური. შესაბამისი საკომუნიკაციო და მარკეტინგული, გარემოსდაცვით საკითხებში მოსახლეობის ცოდნის ამაღლების ხელშემწყობი აქტივობების შემდეგ შესაძლებელი გახდება ტარიფების გადახედვა და ლოიალური და მეტად მოქნილი ფასების პოლიტიკის განსაზღვრა.

გადასახადის მინიმალური ოდენობა შეადგენს:

- ქართველი ვიზიტორებისათვის 5 ლარი
- უცხოელი ვიზიტორებისათვის - 10 ლარი

ფასების დიფერენციაცია

- 50% -იანი ფასდაკლება მოსწავლე-ახალგაზრდებისთვის და პენსიონერებისთვის
- შშმ პირების, 6 წლამდე ასაკის ბავშვებს, გიდების, მკვლევარებისა და ეკო-საგანმანათლებლო ჯგუფების უფასოდ დაშვება
- მტირალას ეკ-ის მიმდებარე სოფლების მცხოვრებთათვის, სერვისის მიმწოდებლებისა და გიდებისთვის „0“ ლარი.

